აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №17

4 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 26 მაისის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის 1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტი მე-16 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. უსკოს სხდომაზე დადგენილების/განკარგულების მიღება ხორციელდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის დადგენილი წესით."

2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: ი. ფაღავა

კომისიის მდივანი: გ. მჭედლიძე